საქმე # 330100119003106104
სარეზოლუციო

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

საქმე №88ა3-20 **ქ. თბილისი**
ც----- ნ---, 88ა3-20 **18 თებერვალი, 2020 წელი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლალი ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მერაბ გაბინაშვილი, მამუკა ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ--- ც-----ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ------- ი-–––––ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ--- ც-----ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ------- ი-–––––– ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

პალატის 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. მიღებული განაჩენი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3^1 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	ლ. ფაფიაშვილი
მოსამართლეები:	მ. გაბინაშვილი
	მ. ვასაძე